

შპს „სერვისი-7“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021 წ. ლარი	2020 წ. ლარი	2019 წ. ლარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	15,222,442	14,897,298	19,116,944
არამატერიალური აქტივები	7	5,034	9,396	17,986
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,227,475	14,906,694	19,134,930
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	4,984	45,527	62,739
მარაგი	9	863,126	877,454	865,762
წინსწარ გადახდილი გადასახადები მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		76,235 500,000	90,809	93,277
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10	112,299	745,266	1,223,262
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,556,643	1,759,055	2,245,039
სულ აქტივები		16,784,118	16,665,749	21,379,969
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		69,876,633	67,019,455	67,019,455
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(50,365,966)	(45,663,619)	(41,750,766)
საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)		(2,740,755)	(4,702,347)	(3,912,853)
სულ კაპიტალი		16,769,912	16,653,489	21,355,836
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი ხელფასი		967	30	180
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		13,239	12,230	23,953
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,207	12,260	24,133

სულ საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები

16,784,118

16,665,749

21,379,969

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021 წ. ლარი	2020 წ. ლარი	2019 წ. ლარი
ამონაგები	11	1,623,833	1,265,585	2,276,847
გაყიდვების თვითღირებულება	12	(3,760,741)	(5,388,181)	(5,605,156)
საერთო მოგება სხვა შემოსავლები		(2,136,908)	(4,122,596)	(3,328,310) 21,271
კომერციული დანახარჯები		-	-	(3,067)
ადმინისტრაციული ხარჯები		(615,918)	(625,612)	(656,328)
სხვა ხარჯები		(6,451)	(7,522)	(4,373)
ფინანსური შემოსავლები სხვა შემოსულობა და ზარალი	13	17,843 680	52,900 483	57,954
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე მოგების გადასახადი		(2,740,755)	(4,702,347)	(3,912,853)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(2,740,755)	(4,702,347)	(3,912,853)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ მფლობელთა კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისათვის	67,019,455	(41,750,766)	25,268,689
ცვლილება +/-			
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(3,912,853)	(3,912,853)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	67,019,455	(45,663,619)	21,355,836
ცვლილება +/-			
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(4,702,347)	(4,702,347)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	67,019,455	(50,365,966)	16,653,489

ცვლილება +/(-)

კაპიტანის ზრდა პარტნიორის შენატანით	2,857,178		2,857,178
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(2,740,755)	(2,740,755)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	69,876,633	(53,106,721)	16,769,912

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2021 წ. ლარი	2020 წ. ლარი	2019 წ. ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1916940	1,493,474	2,684,187
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(615,240)	(742,998)	(997,286)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,053,371)	(982,281)	(1,163,711)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარეშე)	(393,781)	(325,011)	(506,771)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(145,453)	(556,816)	16,420
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	17,843	77,064	38,834
ვადიან დეპოზიტზე განთავსება	(500,000)		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,100	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(482,157)	82,164	38,834
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(627,610)	(474,652)	55,254
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	745,266	1,223,262	1,172,092
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობის გავლენა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	112,299	745,266	1,223,262

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვისი-7“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო. შპს „სერვისი-7“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 26 ივნისის N1-1/950 ბრძანების საფუძველზე. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 29 ივნისის. საიდენტიფიკაციო კოდით 204532899.

კომპანიის ხელმძღვანელია დირექტორი - ნინო ჩხაიძე. ს/ნ. 26001024826

კომპანიის დამფუძნებელი, კაპიტალის 100 პროცენტისი წილის ფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სახელმწიფო, სსიპ - ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს სახით.

კომპანიის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი კაპიტალი შეადგენს 67 019.5 ათას ლარს.

შპს „სერვისი-7“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ 2013 წლის 16 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაცემული აქვს შპს „მენეჯმენტ სერვისი“-ს (ს/კ 205177057).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ნატანები, შეკვეთილი.

კომპანიის საქმიანობის სფეროებია:

1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები;
2. საკუთარი და იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;
3. სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა;

ჩამოთვლილ სფეროებში კომპანიის საქმიანობა სეზონური ხასიათისაა და შემოიფარგლება ივნისი-სექტემბრის თვეებით.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის, როგორც ინდივიდუალური სამეურნეო სუბიექტის, ფინანსურ ანგარიშგებას. იგი მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2021 წლის 1 იანვრით დაწყებულ და 31 დეკემბრით დამთავრებულ წლიურ პერიოდს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია ლარებში.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ფასსს) მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, პირვანდელი ღირებულების მაჩვენებლები აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ეფუძნება ფულად ღირებულებაში გამოხატულ ინფორმაციას ისეთი ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, მიღებულია გარიგების ფასიდან ან სხვა მოვლენიდან, რომელმაც განაპირობა მათი წარმოშობა.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებისა, გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ განიხილა, აქვს თუ არა მას საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. უნარის შესაფასებლად გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები და ფულადი სახსრებისთვის ხელმისაწვდომობა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან მინიმუმ 12 თვისათვის.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია გონივრული რწმენა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი უახლოეს მომავალში საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით.

2. ცვლილებები ფასს სტანდარტებში

ძალაში შესული ცვლილებები

Covid -19 თან დაკავშირებული ქირის დათმობა - ფასს 16-ის შესწორებები: COVID-19-ის პანდემიის შედეგად მოიჯარეებს ქირავნობის შეღავათები მიენიჭათ. ასეთ დათმობებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, მათ შორის გადახდის დღეების შეღავათები და იჯარის გადასახადის გადავადება. 2020 წლის მაისში, ფასსს-მ შეიტანა ცვლილება ფასს 16-ში - „იჯარა“, რომელიც მოიჯარეებს შესაძლებლობას აძლევს, განიხილონ იჯარის დათმობები ისევე, როგორც ამას გააკეთებნენ იჯარასთან დაკავშირებული ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში. ხშირ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს შეღავათების აღრიცხვას, როგორც ცვლადი იჯარის გადასახადებისა იმ პერიოდში, როდესაც ისინი გაცემულია.

საწარმოები რომლებიც იყენებენ გამარტივებული მიდგომას კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით, უნდა გაამჟღავნონ ფაქტი, იყო თუ არა გამარტივებული მიდგომა გამოყენებული ყველა კვალიფიციურ საიჯარო შეღავათებზე, თუ არა, უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია იმ კონტრაქტების შესახებ, რომლებზეც ის იქნა გამოყენებული და მოგება-ზარალში აღიარებული ქირავნობის შეღავათებიდან წარმოშობილი თანხები.

შელავათი თავდაპირველად შემოიფარგლებოდა იჯარის გადასახდელების შემცირებით, რომლებიც გადასახდელი იყო 2021 წლის 30 ივნისის ან მანამდე. თუმცა, ფასს-მ შემდგომში გააგრძელა ეს თარიღი 2022 წლის 30 ივნისამდე.

თუ მოიჯარემ უკვე გამოიყენა გამარტივებული მიდგომა, მას მოეთხოვება განაგრძოს მისი თანმიმდევრული გამოყენება მსგავსი მახასიათებლების მქონე ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე და მსგავს გარემოებებში, შემდგომი შესწორების გამოყენებით. თუ მოიჯარემ თავდაპირველად არ გამოიყენა დასაშვები გამარტივებული მიდგომა იჯარის შეღავათებზე, მას ეკრძალება გამარტივებული მიდგომის გამოყენება 2021 წლის შესწორებაში.

თუმცა, თუ მოიჯარეს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული სააღრიცხვო პოლიტიკა პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენების შესახებ (ან) დასაშვები იჯარის დათმობებისთვის, მას ჯერ კიდევ შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს გამოყენებასთან დაკავშირებით. ცვლილება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან.

საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ფაზა 2, ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში. 2020 წლის აგვისტოში, საბჭომ შეიტანა ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში, რათა გადაეჭრა საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის დროს წარმოშობილი საკითხები. ცვლილებებმა დააწესა გამარტივებული მიდგომა შესწორებით მოთხოვნილი მოდიფიკაციებისთვის (მოდიფიკაციები, რომლებიც საჭიროა უშუალოდ ბანკთაშორის შეთავაზების ინდექსის შესწორების შედეგად და ხორციელდება ეკონომიკურად ეკვივალენტურ საფუძველზე). ეს მოდიფიკაციები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით. ყველა დანარჩენი მოდიფიკაცია აღირიცხება არსებული ფასს-ის მოთხოვნების გამოყენებით. ცვლილებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ძალაში შესულ ამ ცვლილებებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომელიც გამოცემულია მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ბასს (IAS) 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. 2020 წლის იანვარსა და 2020 წლის ივლისში ბასსს-მ გამოუშვა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად.“ იგი განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად უნდა ეყრდნობოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ უფლებებს. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის მოლოდინები, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას გადაავადოს ვალდებულების დაფარვა და რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაქტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას. ცვლილებები ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. კომპანია თვლის, რომ ცვლილება არ იქონიებს გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. 2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. მასში მოცემულია სააღრიცხვო მოთხოვნები სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებისთვის, რომლებიც წარმოიშობა გაცემული სადაზღვევო

ხელშეკრულებებიდან და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან. ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან. კომპანია არ მოელის, რომ მას არსებითი გავლენა ექნება თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“. 2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ შესწორება, რათა განემარტა რომელ დანახარჯებს ითვალისწინებს საწარმო იმის შეფასებისას, არის თუ არა ხელშეკრულება წამგებიანი. ცვლილებები აზუსტებს, რომ „ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლები პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებას“. ცვლილების შესაბამისად ასეთი დანახარჯები შეიძლება იყოს ან ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდი დანახარჯები ან სხვა დანახარჯების განაწილება, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებების შესრულებას. ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ეს ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ცვლილებები ბასს 8-ში. 2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. ცვლილებები თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებისგან. განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად სამომავლო ოპერაციებსა და სხვა სამომავლო მოვლენებზე, მაგრამ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები ჩვეულებრივ გამოიყენება რეტროსპექტიულად წარსულ ოპერაციებსა და სხვა წარსულ მოვლენებზე, ისევე როგორც მიმდინარე პერიოდზე. ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება – ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში. 2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით. ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. კომპანია არ ელოდება, რომ ცვლილებას ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“. განხორციელდა მცირე ცვლილებები რათა განახლებულიყო მითითებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ არ ცვლის საწარმოთა გაერთიანების სააღრიცხვო მოთხოვნებს. ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მოლიდინით ცვლილებებს არ ექნება გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია არ ელოდება, რომ ცვლილებას ექნება გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

ამონაგები გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობებიდან

გასართობი პარკების და თემატური პარკების ვიზიტორებისგან მაშინ აღიარდება ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით.

დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ამონაგები მომხმარებელთა გამოუყენებელი უფლებებიდან

მომსახურების გადაცემასთან დაკავშირებულ შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით, მომხმარებლისგან საავანსო ანაზღაურების მიღების შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება მიღებული საავანსო ანაზღაურების ოდენობით. სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება წყდება და ამონაგები აღიარდება, როდესაც მომხმარებელს მომსახურებას გადასცემს (შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს).

მომხმარებლის მიერ გადახდილი საავანსო ანაზღაურება დაბრუნებას არ ექვემდებარება. დაუბრუნებადი ანაზღაურება მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების მიღების უფლებას აძლევს მომავალში განუსაზღვრელი ვადით.

მომხმარებლებს შეუძლიათ, არ გამოიყენონ ყველა თავიანთი სახელშეკრულებო უფლება, რაც მუდმივად წარმოშობს „მოუთხოვნიელ უფლებებს“.

მომხმარებლების მიერ თავიანთი უფლებების გამოყენების მრავალწლიან ტენდენციაზე დაყრდნობით, კომპანია მიიჩნევს, რომ მომხმარებლების მიერ „მოუთხოვნიელი უფლებების“ გამოყენების ალბათობა ძალიან მცირეა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილ „მოუთხოვნიელი უფლების“ ნაშთს იმავე პერიოდში აღიარებს ამონაგების სახით.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ხელშეკრულების დადებისთანავე აფასებს და ადგენს არის თუ არა მთლიანად ხელშეკრულება იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას, ყველა საიჯარო შეთანხმებასთან მიმართებაში, რომელშიც იგი არის მოიჯარე, გარდა მოკლევადიანი იჯარისა, რომლის საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლებია.

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადახდები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში კლასიფიცირება საოპერაციო საქმიანობის შემადგენლობაში.

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. ხოლო, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რისთვისაც თვითღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და ასევე, დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

საიჯარო ვალდებულების, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგი შეფასებისათვის იზრდება საბალანსო ღირებულება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით და საბალანსო ღირებულება მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. ამგვარად მიღებული საბალანსო ღირებულება შეფასდება ხელახლა, თუ შეიცვალა იჯარის ვადა; საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება; მომავალი საიჯარო გადახდები ან შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში. ასევე, იჯარის მოდიფიკაციების შემთხვევაში ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია აფორმებს საიჯარო ხელშეკრულებებს, როგორც მეიჯარე, მისი ზოგიერთი ძირითადი საშუალების მოკლე ვადით (ზაფხულის სეზონი) გაქირავების მიზნით. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, რადგან იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით. საიჯარო შემოსავლის მისაღებად გაწეული დანახარჯები, მათ შორის ცვეთა, აღიარდება ხარჯის სახით.

დასაქმებულების გასამრჯელო

დასაქმებული პირის მიერ სააღრიცხვო პერიოდში კომპანიისთვის გაწეული მომსახურება, რომლებიც გადასახდელია ამ მომსახურებისათვის, აღიარდება დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობით:

ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოების არადისკონტირებულ ღირებულებას, კომპანია ნამეტ თანხას აღიარებს აქტივად (წინასწარგაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა კომპანიას მიიყვანს, მომავალში გადასახდელუბის შემცირებამდე ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებამდე; და

ბ) როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასამრჯელოები შეიძლება ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

მოგებიდან გადასახადი

საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო ვალდებულებები (აქტივები) წარმოშობა მოგების განაწილების ფაქტიდან გამომდინარე (მიმდინარე გადასახადი). იგი ფასდება იმ თანხით, რომელიც ექვემდებარება გადახდას (ანაზღაურებას) შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო კანონის გამოყენების საფუძველზე, რომლებიც უკვე შესულია ძალაში ან ამოქმედდება საანგარიშგებო პერიოდში.

მიმდინარე გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით და ჩაირთვება საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის თანხაში.

საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განაწილებული მოგების განსაზღვრის ფაქტი გამორიცხავს გადავადებული მოგების გადასახადისა (აქტივის) და შესაბამისი ხარჯის (შემოსავლის) აღიარებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც იმყოფება კომპანიის მფლობელობაში და გამოიყენება საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც კომპანია იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში კომპანია აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთის აღიარება ხდება ისე, რომ აქტივების (გარდა მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) ღირებულება, ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით, ჩამოიწეროს მათი სასარგებლო მომსახურების ვადაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, შემდეგ საფუძველზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობები	60
ნაგებობები	15-20
საოფისე მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა	5-10

ძირითად საშუალებას, რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს, ერიცხება 100%-იანი ცვეთა მაშინ, როდესაც შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება.

ძირითადი საშუალებებისათვის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც, გადაისინჯება და, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათში, შესაბამისად იცვლება ცვეთის მეთოდიც.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის. იგი აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

არამატერიალური აქტივები

შემძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს გააჩნია შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზებადი თანხა სისტემატურად ნაწილდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რომელიც განსაზღვრულია 10 წლით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება მაშინ იწყება, როცა შესაძლებელი გახდება აქტივის გამოყენება. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, კომპანია განიხილავს მისი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა დაადგინოს, არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ ეს აქტივები გაუფასურებულია. ასეთი მინიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას, რომ დაადგინოს გაუფასურების ზარალის სიდიდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც აქტივი სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასების დროს მომავალი ფულადი ნაკადის მათ სამართლიან ღირებულებამდე დისკონტირისათვის გამოიყენება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და მოცემული აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და იგი აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს, მოხდება წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება (უკუგატარება). ამ შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების აღიარების შემდეგ აქტივის ცვეთის (ამორტიზაციის) თანხა კორექტირდება მომავალი პერიოდებისათვის, რათა აქტივის გადასინჯული საბალანსო ღირებულება, ნარჩენი ღირებულების (მისი არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით, განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგი

მარაგი ფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის, გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს, მაშინ როდესაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიკაცია

აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით კომპანია თავის ფინანსურ აქტივს ანიჭებს შემდეგიდან ერთ-ერთ კლასიფიკაციას:

- „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, ან
- „შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, ან
- „შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, ვადიანი ანაზრები და სავაჭრო ვალდებულებები. როგორც წესი, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. კომპანია თავდაპირველი აღიარებისას ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნისა, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი,

და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შემენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს თავდაპირველად აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს და მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (ვადიან ანაბრებს) აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, რადგან ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ ორ პირობას:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურება

კომპანია ზარალის რეზერვს აღიარებს სავაჭრო და საიჯარო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა განახლდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა ასახული იყოს ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილება.

სავაჭრო და საიჯარო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ხდება გამარტივებული მიდგომით, რეზერვების მატრიცის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ეკვივალენტურ თანხას, როგორც გაუფასურების შემოსულობას ან ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ანგარიშგებაში წარმოდგენილი კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულის ნაშთს ბანკში, ასევე მოთხოვნამდე ანაბრებს ჩათვლით, რომლებსაც აქვს წარმოქმნიდან არაუმეტეს

სამი თვის ვადა, კონტრაქტის მიხედვით უფლებრივად არ იტვირთება და თავისუფლად არის კონვერტირებადი ფულის გარკვეულ ოდენობებად.

საკურსო სხვაობები

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული კურსის მიხედვით.

უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშ-სწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	ლარი აშშ დოლართან მიმართებით	ლარი ევროსთან მიმართებით
2021 წლის 31 დეკემბერი	3,0976	3,504
2020 წლის 31 დეკემბერი	3,2766	4,023

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც ზემოთაა აღწერილი, ხელმძღვანელობას მოეთხოვება გამოიყენონ მსჯელობები (იმათ გადრა, რაც დაკავშირებულია შეფასებებთან) და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღიარებულ თანხებზე, ასევე გააკეთონ შეფასებები და დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც არაა აშკარა სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ითვლება. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადაისინჯება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასების გადახედვა მოხდება, თუ ცვლილება აისახება მხოლოდ ამ პერიოდზე, ან მომავალ პერიოდში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

მნიშვნელოვანი განსჯა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას

ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების შედეგების შეფასებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის, ხელმძღვანელობამ იმსჯელა იმის შესახებ, აქტივები და ვალდებულებები, ხომ არ ექვემდებარება მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო მუხლების შეფასება ნაკლებად მგრძნობიარეა მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების მიმართ, გარდა ძირითადი საშუალებების ჯგუფების ანაზღაურებადი ღირებულებისა. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შეფასება, რომელიც ეყრდნობა ანაზღაურებადი ღირებულების სიდიდეს, დამოკიდებულია მომავალ ფულად ნაკადებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია სტაბილური ფუნქციონირების რესურსები, შესაძლოა იგი მნიშვნელოვნად მგრძნობიარე აღმოჩნდეს ფულად ნაკადებთან მიმართებით, რომელიც ნაკლებპროგნოზირებადია გარეფაქტორებიდან გამომდინარე. განუსაზღვრელობა უკავშირდება კოვიდ - 19 პანდემიით გამოწვეულ გარემოებას, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა საანგარიშგებო პერიოდის ვიზიტორების რაოდენობაზე და, შესაბამისად, ფულად ნაკადებზე. მომავალ სეზონში იგივეს გამეორებამ, შესაძლოა ანალოგიური გავლენა იქონიოს ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას შეუძლებელია განუსაზღვრელობის გავლენის რაოდენობრივი შეფასება და თვლის, რომ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავსებით შესაძლოა, მომავალ ფინანსურ წელს მიღებული შედეგები იმდენად განსხვავებული აღმოჩნდეს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება.

5. წინა პერიოდის შეცდომები

საანგარიშგებო პერიოდში გამოვლინდა წინა პერიოდში დაშვებული არარსებითი შეცდომები. მიმდინარე პერიოდთან შესადარისობის მისაღწევად, კომპანიამ რეტროსპექტულად შეცვალა 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი ინფორმაცია.

გამოვლენილი შეცდომის რეტროსპექტულად შესწორება მოხდა 2020 წლის შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელიც შემდეგნაირად აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	01 იანვარი 2020 წ.	
	შესწორებამდე	შესწორების შემდეგ
მარაგი ¹	877,463	877,454
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ^{1:2}	(50,374,459)	(50,365,966)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ^{2,3:4}	37,010	45,527
წინსწარ გადახდილი გადასახადები ³	90,824	90,809
ფინანსური შედეგი ^{1:2}	(4,710,840)	(4,702,347)
გაყიდვების თვითღირებულება ⁴	(5,396,589)	(5,388,181)
ამონაგები ²	1,265,500	1,265,585

1. გამორჩენილი მარაგის ხარჯი - 9 ლარი;
2. გამოტოვებული ამონაგები - 85 ლარი;
3. გამოტოვებულ ამონაგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი - 15 ლარი;
4. გაყიდვების თვითღირებულებაში არასწორად აღიარებული რემონტის ხარჯი, რომელიც რემონტის არადაამაყოფილებლად შესრულების გამო დაბრუნებას ექვემდებარებოდა - 8417 ლარი.

6. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	შენობები	ნაგებობები	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მრავალწლიანი ნარგავები	სულ
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი: 01.01.2020	208,553	3,315,885	17,280,683	10,822	44,684,491	80,246	351,600	261,289	112,032	66,305,601
აქტივების შეძენა				1,890	12,712			2,203		16,805
აქტივების გასვლა				(12,712)	(1,207,235)	(12,696)	(3,948)			(1,236,591)
ნაშთი: 31.12.2020	208,553	3,315,885	17,280,683	0	43,489,968	67,550	347,652	263,492	112,032	65,085,815
აქტივების შეძენა			2,858,879	0	180		2,875			2,861,934
აქტივების გასვლა					(196,980)		(5,118)	(39,360)		(241,458)
ნაშთი: 31.12.2021	208,553	3,315,885	20,139,562	0	43,293,168	67,550	345,409	224,132	112,032	67,706,291

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი: 31.12.2019	0	1,387,879	6,644,915	0	38,542,685	50,610	322,754	148,815	91,000	47,188,658
წლიური ცვეთა	0	165,749	960,268		3,042,510	7,642	14,828	21,784	2,457	4,215,238
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					(1,199,043)	(12,387)	(3,948)			(1,215,378)
ნაშთი: 31.12.2020		1,553,628	7,605,183	0	40,386,152	45,865	333,634	170,599	93,457	50,188,518
წლიური ცვეთა		34,577	991,534		1,478,060	7,279	6,554	15,771	1,922	2,535,697
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					(196,178)		(5,120)	(39,067)		(240,365)
ნაშთი: 31.12.2021	0	1,588,205	8,596,717	0	41,668,034	53,144	335,068	147,303	95,379	52,483,850
საბალანსო ღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი: 01.01.2020				10,822						
ნაშთი: 31.12.2020	208,553	1,762,257	9,675,500		3,103,816	21,685	14,018	92,893	18,575	14,897,297
ნაშთი: 31.12.2021	208,553	1,727,680	11,542,845	0	1,625,134	14,406	10,341	76,829	16,653	15,222,442

კომპანია განაგრძობს სრულად ამორტიზებული ძირითად საშუალებების გამოყენებას, რომელთა პირვანდელი ღირებულება ჯგუფების მიხედვით შედგენს:

	ლარი
ნაგებობები	53,655
მანქანა დანადგარები	1,417,080
ოფისის აღჭურვილობა	30,619
ავეჯი და სხვა ინვენტარი	317,821
სატრანსპორტო საშუალებები	80,045
მრავალწლიანი ნარგაობა	73,601
ჯამი	1,972,821

ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კომპანია ვერ იყენებს ორი ატრაქციონს, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 143.421 ლარს.

7. არამატერიალური აქტივები

აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვ ლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020	შემოსვ ლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2020
შეძენის ღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
პროგრამული	84,556			84,556			84,556
უზრუნველყოფა							
ქსელური სუპერფინი	1,347			1,347			1,347
ჯამი	85,903	0	0	85,903	0	0	85,903
ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2021	დარიც ხვა	ჩამოწე რა	ნაშთი 31.12.2020	დარიც ხვა	ჩამოწე რა	ნაშთი 01.01.2020
პროგრამული	80,330	4,227		76,103	8,456		67,647
უზრუნველყოფა							
ქსელური სუპერფინი	540	135		405	135		270
ჯამი	80,870	4,362	0	76,508	8,591	0	67,917
საბალანსო ღირებულება	5,033			9,395			17,986

არამატერიალურ აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში გაერთიანებულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის მუხლში (იხ. შენიშვნა12).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ლარი	31/12/2021	31/12/2020	1/1/2019
სავაჭრო მოთხოვნები		32,926	41,388	33,298
გადახდილი ავანსები		4,085	36,286	5,017
მისაღები პროცენტი				24,164
სხვა მოთხოვნები		120		259
საექვო მოთხოვნების რეზერვი		(32,147)	(32,147)	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4,984	45,527	62,739

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით აღიარებული საექვო მოთხოვნების ნაშთის შეცვლის აუცილებლობა არ დაბდგარა. შესაბამისად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი 2021 წელს არ აღიარებულა.

9. მარაგები

	ლარი	31/12/2021	31/12/2020	1/1/2019
საქონელი		27,531	22,524	21,479
ნედლეული და მასალები		58	1,635	1,566
სხვა საწარმოო მარაგი		835,537	853,295	842,717
სულ მარაგი		863,126	877,454	865,762

საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად აღიარებულია 353 858 ლარის მარაგი.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ლარი	31/12/2020	31/12/2020	1/1/2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		6,895	5,885	6,996
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		284	8,380	1,465
მოთხოვნამდე ანაბარი			731,000	1,214,800
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		105,120		
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		112,299	745,266	1,223,262

11. ამონაგები

კომპანიის ამონაგების მთვარი წყაროა ატრაქციონებიდან მიღებული შემოსავალი. ვიზიტორებისათვის მომსახურების გაწევისთვის თანმხლები პროცედურაა მათთვის ბარათის მიწოდება, რომელშიც მომხმარებელს ჩაერიცხება მომსახურებისთვის წინასწარ გადახდილი ფული. მომხმარებელს ბარათი უვადოდ გადაეცემა საკუთრებაში. ასევე განუსაზღვრელი ვადით შეუძლია ბარათზე დარჩენილი თანხის გამოყენება.

კომპანიის მიერ გაცხადებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, მომხმარებლის მიერ ბარათზე ჩარიცხული თანხის დაბრუნება არ ხდება და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სეზონზე.

ყოველი წლის ბოლოს ხდება წინასწარ გადახდილი თანხების ნაშთის და გამოყენების ტენდენციის განხილვა. განხილვის მიზანია იმის განსაზღვრა აუცილებელი იქნება თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულების ან მისი ნაწილის აღიარება და ხომ არ გახდება აუცილებელი საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილ „მოუთხოვნილი უფლების“ ნაშთის ამონაგებად აღიარების პოლიტიკის შეცვლა.

წინა საანგარიშგებო პერიოდის მსგავსად, 2021 წელს კომპანიას არ უღიარებია სახელშეკრულებო ვალდებულება.

მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობიდან სახელშეკრულებო მოთხოვნები წარმოიშობა მოკლევადიანი საოპერაციო იჯარიდან. იჯარიდან შემოსავლის მიღება ხდება არაცვლადი საიჯარო გადახდების სახით.

კომპანია, როგორც მეიჯრე საიჯარო საქმიანობის ფარგლებში ყოველი წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში მოიჯარეებს დროებით სარგებლობაში გადასცემს სავაჭრო ჯიხურებს და სხვა ფართებს საზოგადოებრივი კვების ობიექტებად და სავაჭრო დანიშნულებით გამოსაყენებლად.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს ამონაგების სტუქტურას.

ლარი	2021 წ.	2020 წ.	2019 წ.
ამონაგები ატრაქციონებიდან	1,556,460	1,226,856	2,201,245
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	67,373	36,907	74,585
<i>სულ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ამონაგები</i>	<i>1,623,833</i>	<i>1,263,763</i>	<i>2,275,830</i>
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,822	1,017
ამონაგების ჯამი	1,623,833	1,265,585	2,276,847

12. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია დანახარჯების გამიჯნვა შეუსრულებელი შესასრულებელი ვალდებულებების და უკვე შესრულებული შესასრულებელი ვალდებულებების (ან ნაწილობრივ შესრულებული შესასრულებელი ვალდებულებების) მიხედვით. ამიტომ მომსახურების პირობების შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯები ხარჯად აღიარებას ექვემდებარება მათი გაწევისთანავე.

დანახარჯები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში ამონაგების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯად აღიარდება, მოიცავს: სამუშაო ძალის ანაზღაურების პირდაპირი დანახარჯებს; მასალების დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია ატრაქციონის ნაგებობების ექსპლუატაციისათვის და დანახარჯები, რომლებიც ცალსახად უკავშირდება მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევას (ატრაქციონების ძირითადი საშუალებების ცვეთა; მოხმარებული ელექტროენერგია და სხვ).

ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

გაყიდვის თვითღირებულების ანალიზი

ლარი	2021 წ.	2020 წ.	2019 წ.
დახარჯული მარაგი	353,858	406,735	418,452
პირდაპირი ხელფასი	741,535	667,686	838,842
ცვეთა და ამრტიზაცია	2,516,248	4,199,106	4,213,169
ელექტრო ენერგიის ხარჯი	140,933	69,214	85,174
რემონტის ხარჯი	8,167	45,440	49,519
სულ ხარჯები	3,760,741	5,388,181	5,605,156

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომიკური შინაარსის ანალიზი

ლარი	2021 წ.	2020 წ.	2019 წ.
გამოყენებული მარაგი	353,858	414,727	418,452
დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	1,069,318	981,452	1,166,068
ცვეთა და ამრტიზაცია	2,540,058	4,223,829	4,213,169
საიჯარო ქირა	27,833	27,833	27,833
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები		32,147	
ელექტრო ენერგიის ხარჯი	140,933	69,214	85,174
ქონების გადასახადის ხარჯი	156,111	179,545	225,947
უარყოფითი საკურსო სხვაობა	5,357	3,344	4,084
სხვა ხარჯი	89,642	89,224	128,197
სულ ხარჯები	4,383,111	6,021,315	6,268,924

საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად კომპანია იყენებს იჯარით აღებულ 12.4 ჰა. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 27 833 ლარს.

საიჯარო ხელშეკრულების ვადის განახლება ხდება ყოველწლიურად. ხელშეკრულების ვადის 2022 წლის ბოლომდე გაგრძელების შეთანხმების შესაბამისად, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა შეადგენს:

მინიმალური საიჯარო გადასახდელები	თანხა, ლარი
არა უგვიანეს ერთი თვისა	2,319
ერთი თვის შემდეგ და არა უგვიანეს სამი თვისა	4,639
სამი თვიდან ერთ წლამდე ვადის	20,875

კომპანია საიჯარო აქტივს განიხილავს მოკლევადიან იჯარად და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში.

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია საოპერაციო საქმიანობის შემადგენლობაში, რომელიც წლების მიხედვით შეადგენდა:

ლარი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
საიჯარო ქირის სახით გასული ფულადი ნაკადები	32,843	32,843	32,843

13. ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავლების მუხლში ასახულია პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი ფინანსური აქტივებიდან, რომლებიც აღრიცხული არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავალი).

14. აუდიტორის მიერ მისაღები თანხა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებისათვის მომსახურების შემსრულებელი აუდიტორული ფირმისათვის გადასახდელი ანაზღაურება შეადგენს 25 960 ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს დავა და არც უახლოეს მომავალში ელოდება მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას. ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

16. რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

16.1 რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

16.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის მოთხოვნებიდან მომსახურების მომწოდებლების მიმართ, სხვა მოთხოვნებიდან, შეზღუდული ნაშთებიდან და ბანკში არსებული ნაშთებიდან. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება (ლარი)		
	31/12/2021	31/12/2020	1/1/2020
ფულადი სახსრების ნაშთები	112,299	745,266	1,223,262
მოთხოვნები მომსახურების მყიდველების მიმართ	779	724	33,298
მოთხოვნები გადახდილი ავანსების მიხედვით	4,085	36,286	5,017
მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	500,000		
სხვა მოთხოვნები	120		24,424

ბანკში არსებული ნაშთები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში. კომპანია არ მოელოდა, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

2020 და 2021 წლებში მომხმარებლების მიმართ წარმოშობილი არცერთი მოთხოვნა არ ყოფილა ვადაგადაცილებული. მომსახურების მომწოდებლების მიმართ არსებული მოთხოვნების არსებითი ნაწილის შეგროვება საანგარიშგებო პერიოდშივე განხორციელდა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ არის არსებითად დაქვემდებარებული საკრედიტო რისკს აღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

გადახდილი ავანსების მიხედვით არსებული მოთხოვნები უკავშირდება მომწოდებლისათვის წინასწარ გადახდებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის დასრულებიდან მალევე ანულირდება მომწოდებლის მხრიდან შესაბამისი საქონლის/მომსახურების მოწოდების შედეგად. შესაბამისად, კომპანია არ არის საკრედიტო რისკს არსებითად დაქვემდებარებული გადახდილ ავანსებთან მიმართებით.

16.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

კომპანია უზრუნველყოფს რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მისი საოპერაციო ხარჯების დასაფარავად მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები:

2021 წლის 31 დეკემბერი

საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებ ო ფულადი ნაკადები	1 წლამდ ე	1-2 წლამდ ე	2-5 წლამდ ე	5 წელზე მეტე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	14,207	14,207	14,207		
საიჯარო ვალდებულება					
	14,207	14,207	14,207		

2020 წლის 31 დეკემბერი

	საბალანსო დირებულებ ა	სახელშეკრულებ ო ფულადი ნაკადები	1 წლამდ ე	1-2 წლამდ ე	2-5 წლამდ ე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებებ ი	9,923	9,923	9,923			
საიჯარო ვალდებულება	2,337	2,337	2,337			
	12,260	12,260	12,260			

2020 წლის 01 იანვარი

	საბალანსო დირებულებ ა	სახელშეკრულებ ო ფულადი ნაკადები	1 წლამდ ე	1-2 წლამდ ე	2-5 წლამდ ე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებებ ი	21,396	21,396	21,396			
საიჯარო ვალდებულება	2,737	2,737	2,737			
	24,133	24,133	24,133			

16.4 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ზემოაღნიშნული შესყიდვები არის ევრო.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული, შემდეგი ფინანსური აქტივები:

ფინანსური აქტივები	ვალუტა	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	ევრო	30,000		
გადახდილი ავანსები	აშშ დოლარი	1,351	1,351	1,351
გადახდილი ავანსები	ევრო		7,800	

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები რისკის ანალიზის მიზნებისთვის უმნიშვნელოა.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

კომპანიას აკონტროლებს სსიპ - ქონების მართვის ეროვნული სააგენტო. კომპანია არ ახორციელებს ოპერაციებს მაკონტროლებელ მხარესთან და არც მის მიერ კონტროლირებულ საწარმოებთან.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელო

კომპანიის საქმიანობის დაგეგმვისა და მართვისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მინიჭებული აქვს მის დირექტორს და იგი არის კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი. ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს ინფორმაციას უმაღლესი რანგის ხელმძღვანელის გასამრჯელოს შესახებ საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით.

ლარი	2021 წ.	2020 წ.	2019 წ.
მოკლევადიანი გასამრჯელოები	47,096	45,292	44,850
სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები	942	924	915
სულ	48,038	46,217	45,765

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც გამოიწვევდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად ხელმოწერით დაამტკიცა დირექტორმა 2022 წლის 19 სექტემბერს

შპს „სერვისი -7“-ის დირექტორი

ნინო ჩხაიძე.

Nino

Chkhaidze

Подписано цифровой
подписью: Nino
Chkhaidze
Дата: 2022.09.19
13:20:42 +04'00'

მმართველობითი ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები;
2. საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;
3. სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა;

კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია (მოკლე მიმოხილვა)

დასახელება - შპს „სერვისი-7“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო კოდი 204532899;

დაფუძნების თარიღი 29 ივნისი 2007წელი;

დამფუძნებელი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

დამფუძნებლის ბრძანების N1-1/950 და თარიღი 26.06.07;

რეგისტრაციის N 204532899, თარიღი 29.06.2007;

მარეგისტრირებული ორგანო - თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა დაფუძნებისას 40691130 ლარი

დამფუძნებლის წილი საწესდებო კაპიტალში 100%.

2010 წლის 20 აგვისტოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის N1-3/784 ბრძანების საფუძველზე შპს „სერვისი-7“-ის კაპიტალში განხორციელდა დამატებითი შენატანი „ასოციაცია ატუ“-ს მიერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე უსასყიდლოდ გადაცემული ქონებით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 60.487.022 ლარი.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „მენეჯმენტ სერვისს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „სერვისი-7“-ის სახელწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცა შპს „მენეჯმენტ სერვისს“.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისის“ 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 6.532.432 ლარით.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისის“ 2021 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 2.857.178 ლარით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 69.876.633 ლარი.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები.

ქვემოთ მოტანილია კომპანიის შემოსავლის მომტანი ზოგიერთი აქტივის ვიზუალი:





გასართობი ატრაქციონების პარკის საქმიანობა არის სეზონური და 2021 წელს იგი მოიცავდა 15 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. ატრაქციონების პარკი ფუნქციონირებდა 18 საათიდან 01 საათამდე. ატრაქციონების პარკს 2021 წლის განმავლობაში ეწვია 340.000-მდე ვიზიტორი. პარკი „საქართველო მინიატურებში“ ფუნქციონირებდა 2021 წლის 3 მარტიდან მთელი წლის განმავლობაში და მას სტუმრობდა 45.000 ვიზიტორი. აღინიშნება ვიზიტორების რაოდენობის ზრდა წინა

წლებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ტურისტების ნაკადის გაზრდით. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ატრაქციონების პარკს 75 ათასით მეტი ვიზიტორი სტუმრობდა, ხოლო პარკს „საქართველო მინიატურებში“ 2 ათასით მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

კომპანიაში 2021 წელს დასაქმებული იყო 69 შტატით განსაზღვრული თანამშრომელი, სეზონურად 15 ივნისიდან 16 სექტემბრამდე პერიოდში დაემატა 110 სეზონური თანამშრომელი. გასულ წელთან შედარებით 2021 წელს საწარმომ მიიღო 358,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალი. 2021 წლის განმავლობაში საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადახილია 596,9 ათასი ლარი მ.შ. ქონების გადასახადი 145 ათასი ლარი, დღგ 262 ათასი ლარი და საშემოსავლო გადასახადი 189,9 ათასი ლარი.

2021 წელს, წინა წლის მსგავსად, ტექნიკური პრობლემების გამო არ ფუნქციონირებდა 2 ექსტრემალური ატრაქციონი : ცის ყულფი (Sky loop) და როლერ კოსტერი (Xp 48).

საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი მომხმარებელია საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის რეგიონში ჩამოსული ტურისტები და დამსვენებლები. ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით საწარმო ვარაუდობს მომხმარებელთა მოცულობის ზრდას მომავალი პერიოდისათვის. დღეისათვის ჩვენს მიერ დაკავებულია ბაზრის 93%.

საწარმოს ძირითადი კონკურენტები არ გააჩნია, მათი წილი დაკავებულ ბაზრის სეგმენტში უმნიშვნელოა და შეადგენს 7%.

ჩვენი წარმატების ძირითადი ფაქტორებია: ფასები, მომსახურების ხარისხი, მიწოდების ვადები, სერვისი და ა.შ. ძირითადი ხელიშემშლელი მიზეზებია მეტეოროლოგიური პირობები და ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელება.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის დაბალი მაჩვენებლის მატარებელია (მოვლენის დადგომის ალბათობა 13 წლის განმავლობაში ერთი მომხმარებელი). საკრედიტო რისკი კომპანიას წარმოეშვება მხოლოდ უძრავი ქონების გაქირავებიდან. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

ლიკვიდურობის მართვისას კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

სავალუტო რისკი

კომპანია ატრაქციონების შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების შესყიდვას ძირითადად ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. კურსის ცვლილება აისახა რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაზე. სამომავლოდ რეალიზებული მომსახურების ფასების ცვლილების ხარჯზე მოხდება სავალუტო რისკების შემცირება.


ადგილობრივი ადმინისტრაციული მართვა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. ამ მიმართულებით

კომპანიაში წარმატებით მიმდინარეობს შიდაკონტროლის სისტემების დანერგვა, რაც არის საქმიანობის ეფექტურობისა და სანდოობის მაღალი დონის გარანტია.

კომპანიის თანამშრომლებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის სწავლებების ჩატარება მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

საწარმოს უშუალო ხელმძღვანელია დირექტორი, რომელსაც ექვემდებარება მოადგილე, შემდეგ დონეზე დაქვემდებარებაშია ბუღალტერია, დაცვის უფროსი, მთ. ინჟინერი, იურიდიული განყოფილება, კადრების განყოფილება, უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილებები. ხოლო ქვედა დონეზე მათ ექვემდებარებიან უშუალოდ სპეციალისტები და რიგითი თანამშრომლები. საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა იხილეთ ქვემოთ:



აღნიშნული სტრუქტურული დაქვემდებარება ეფექტურია კომპანიის მართვის განსახორციელებად.

სამომავლო გეგმები და ხედვები.

2022 წლისათვის კომპანია გეგმავს მწყობრში მოიყვანოს 2 არაფუნქციონირებადი ატრაქციონიდან 1 როლერ კოსტერი (Xp 48) რომლის წილი საერთო შემოსავალში შეადგენდა 10 პროცენტს და ასევე სათამაშო ავტომატების დარბაზისათვის გეგმავს 3 სათამაშო კომპიუტერის შეძენას.

შპს „სერვისი-7“

დირექტორი:

Nino
Chkhaidze

Подписано
цифровой подписью:
Nino Chkhaidze
Дата: 2022.09.19
13:19:23 +04'00'



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შპს „სერვისი-7“-ის დამფუძნებელს - სსიპ „სახელმწიფო
ქონების ეროვნულ სააგენტოს“**

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სერვისი-7“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სერვისი-7“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2021 წლის ოქტომბერში, საწარმოს დამფუძნებლის თანხმობით, საწარმოს წილის 100 პროცენტის მმართველი კომპანიის გადაწყვეტილებით, გაიზარდა საწარმოს კაპიტალი 2 857 178 ლარით. კაპიტალის შევსება განხორციელდა საწარმოს დამფუძნებლის მიერ 2019 წლის იანვარში საჩუქრად მიღებული ძირითადი საშუალებების საწარმოსათვის საკუთრებაში გადაცემით. საკუთრებაში მიღებული ძირითადი საშუალებები საწარმომ აღიარა აქტივების გამჩუქებელი პირის მიერ მის შესაქმნელად გაწეული დანახარჯების ოდენობით, რომლის შესახებ 2018 წლის დეკემბერში მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული დამოუკიდებელ აუდიტორულ ფირმას. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ძირითადი საშუალებების შექმნიდან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო გასული და აღიარების დღისთვის არ მომხდარა საწარმოს მიერ მიღებული ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფასება, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ძირითადი საშუალებების ღირებულების ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიან წარდგენაში. ასევე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ იმ თანხის სიდიდე, რომლითაც შესაძლოა აუცილებელი იყოს კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში და ფინანსური ანგარიშგების რომელიმე სხვა მუხლში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „სერვისი-7“-ისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული

მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სერვისი-7“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სერვისი-7“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სერვისი-7“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის

დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „სერვისი-7“-ი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს „სერვისი-7“ ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილის - საქმიანობის მიმოხილვა, ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, კანონით განსაზღვრული მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორი

რევაზ ძაძამია

19 სექტემბერი 2022 წელი.

Revaz
Dzadzamia
01025004983



Digitally signed
by Revaz
Dzadzamia
Date: 2022.09.19
14:11:57